



სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 მარტი, 2025 წელი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N07-01/08

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2024 წლის ანგარიშის
დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (N245394, 06.03.2025 წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 მარტის სხდომის №07-02/03 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში N1 დანართის შესაბამისად და 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში N2 დანართის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი

ჯემალ კარალიძე

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 მარტის
N07-01/08 გადაწყვეტილების N1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის
2024 წლის ანგარიში

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“), მისი 90 წლიანი არსებობის პერიოდში ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრად. უნივერსიტეტის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ბსუ თავის საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად.

2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია უნივერსიტეტის საქმიანობის 8 პრიორიტეტული მიმართულება, კერძოდ:

1. უნივერსიტეტის სოციალური როლის ზრდა რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
2. სტუდენტებისათვის თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული განათლების მიცემის უზრუნველყოფა;
3. ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო კვლევების განხორციელება;
4. სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაცია;
5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა და მათ შორის გამოცდილების გაზიარება;
6. საზოგადოების მოთხოვნებისა და შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განვითარება;
7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად;
8. კარგად ორგანიზებული და ეფექტური აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები.

ბსუ-ს მისიით და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესი, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის, როგორც მთავარი ფინანსური დოკუმენტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების ერთიან პროცესს. იგი წარმართება საქართველოს კანონმდებლობის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (№07-01/59, 24.12.2021წ.) დამტკიცებული „ბიუჯეტის შედგენის წესის“ თანხმად.

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციაა უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიანი მართვის საშუალებით. აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია რესურსების ოპტიმალური განაწილება, რისკების შეფასება,

შედეგების მონიტორინგი. წარმატებული საერთო საუნივერსიტეტო საქმიანობა დამოკიდებულია ადმინისტრაციის გამართულ ფუნქციონირებასა და შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობაზე. აღნიშნული პროცესის კოორდინირება კი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უმთავრესი ამოცანაა.

ბსუ-ს 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომელთა შედეგზე ორიენტირებული ხარჯვა გარკვეულწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიუჯეტის პროგრამული პრინციპით დაგეგმვაზე, რომელიც უნივერსიტეტში 2022 წლიდან ხორციელდება.

ბსუ-ს 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტი დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N07-01/61 გადაწყვეტილებით და დაიგეგმა პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპით. ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: ფაკულტეტები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (შემდეგში - კვლევითი ინსტიტუტები), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - პროფესიული ცენტრი) და ბსუ-ს ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ საბიუჯეტო განაცხადები საჭიროებების შესაბამისად.

ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების გადამუშავების შედეგად, 2024 წლის ბიუჯეტში აისახა:

- ღონისძიებათა დაგეგმვა პრიორიტეტულ ჭრილში;
- ღონისძიებების/ხარჯების განხორციელების პასუხისმგებლობის გადანაწილება ფაკულტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს შორის;
- ხარჯების დაგეგმვა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში;
- პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვა დაფინანსების წყაროების მიხედვით;
- გამჭვირვალობის, ყოვლისმომცველობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების რეალიზება.

ყველა რგოლის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადის ანალიზის (შესაბამისობაშია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან), ურთიერთშეჯერების, კონსოლიდაციის და კლასიფიცირების საფუძველზე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პროგრამა:

- ✓ ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა;
- ✓ უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება;
- ✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება;
- ✓ ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N07-01/61 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე შევიდა ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით: N01-10/06, 13.02.2024წ., N01-10/31, 05.04.2024წ., N01-10/56, 16.05.2024წ., N01-10/66, 01.07.2024წ., N01-10/70, 15.07.2024წ., N01-10/73, 06.08.2024წ., N01-10/79, 29.08.2024წ., N01-10/84, 23.09.2024წ., N01-10/88, 15.10.2024წ., N01-10/101, 18.11.2024წ. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის N07-01/03 და 27 დეკემბრის N07-01/71 გადაწყვეტილებით).

პროგრამულად დაგეგმილი 2024 წლის ბიუჯეტის საფუძველზე, შედგა ბსუ-ს 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ყველა პროგრამითა და ქვეპროგრამით დაგეგმილი ხარჯების/ღონისძიებების კონსოლიდაცია. შესყიდვის საშუალებები დაჯგუფდა დაფინანსების ოთხი წყაროს (საკუთარი შემოსავლები, აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი და გრანტები) მიხედვით, რაც შესყიდვების გეგმაზომიერ და მოქნილ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ბსუ-ს 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 20 ნოემბრის N01-10/131 ბრძანებით. ბსუ-ს 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეიცვალა რამდენჯერმე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 29 დეკემბრის N01-10/148 და 2024 წლის განმავლობაში: N01-10/17, 19.02.2024 წ., N01-10/21, 15.03.2024 წ., N01-10/22, 25.03.2024 წ., N01-10/33, 10.04.2024 წ., N01-10/55, 07.05.2024 წ., N01-10/58, 22.05.2024 წ., N01-10/64, 21.06.2024წ., N01-10/69, 05.07.2024 წ., N01-10/74, 09.08.2024 წ., N01-10/81, 30.08.2024 წ., N01-10/85, 24.09.2024 წ., N01-10/107, 05.12.2024 წ. ბრძანებებით), რაც განპირობებული იყო ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით და სხვა გარდაუვალი საჭიროებებით.

ბსუ-ს **2024 წლის პროგრამული ბიუჯეტი** დაფინანსების წყაროებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამური თანხის გათვალისწინებით შეადგენდა **39 177 750 ლარს**, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების წლიური (2024 წელი) გეგმა - **9 579 599 ლარს**.

2024 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სახის პროექტები/ღონისძიებები

ბსუ-ში 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური, ასევე სხვა სახის პროექტები და ღონისძიებები, რომელთაგან აღსანიშნავია:

ინფრასტრუქტურული პროექტები:

- აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილი ბსუ-ს სამედიცინო მიმართულების სასწავლო კორპუსის მშენებლობის ფარგლებში, შესყიდულია კორპუსის მრავალწლიანი (2024-2027 წწ.) სახელმწიფო შესყიდვის სამშენებლო სამუშაოებზე, შედგენილი პროექტის ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზისა და შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა აქტების ექსპერტიზის დასკვნის/ინსპექტირების ანგარიშის წარმოდგენის მომსახურება (2024-2027 წწ.), ღირებულებით 49341,81 ლარი. მისი შესრულება დაიწყება სამედიცინო მიმართულების ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის დაწყების პარალელურად. ამ მიზნით, 2023 წლის 25 ოქტომბერს გამოცხადდა 8`781`000.00 ლარის ღირებულების ელექტრონული ტენდერი (NAT230021366), რომელიც არ შედგა. ბაზრის კვლევისა და ელექტრონული ტენდერის შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ შედეგი მეტწილად განპირობებული იყო შესყიდვის ობიექტის დაბალი საორიენტაციო ფასით. ბსუ-ს ადმინისტრაციის მიერ პროექტის ავტორისაგან უკვე მიღებულია კორექტირებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ელექტრონული ტენდერის წინა მოსამზადებელი პროცედურები, შესაბამისად, შესყიდვის მიზნით, ახალი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდება უახლოეს პერიოდში;
- 2023 წლის 24 დეკემბრის ღამით განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, მთლიანად დაზიანდა უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის სახურავი. სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამართივებული შესყიდვის საშუალებით 2023 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №6. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 403211,12 ლარი. სამუშაოები, ხელშეკრულების პირობების თანახმად დასრულდა 2024 წელს;
- ორ ეტაპად განხორციელდა ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის - სამსართულიანი შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაიხარჯა

322018,53 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შენობის ფასადზე არსებული ფილების დემონტაჟი და შეფუთვა ე.წ. ალუკაბონდის ფილებითა და ფერადი პროფილური ფენილით;

- ელექტრონული ტენდერის ფარგლებში შესყიდულია ასევე, ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15-ში არსებული სტუდენტთა საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაციისა და სახურავის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 293566,38 ლარი. პროექტის ფარგლებში არსებული ფილები შეიცვალა ალუკაბონდის ფილებითა და ფერადი პროფილური ფენილით, მოეწყო სახურავის ხის კონსტრუქცია და სახურავის ბურული;
- ბსუ-ს პირველ კორპუსში რაბილიტაცია ჩაუტარდა საპირფარეშოებს, რომელიც აღიჭურვა, თანამედროვე სტანდარტების, ინვენტარითა და ავეჯით. შესყიდვის ფარგლებში ასევე განხორციელდა სერვერის ოთახის სარეაბილიტაციო და შლაგბაუმის მოწყობის სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 171892,75 ლარი. შესრულდა სადემონტაჟო, იატაკის მჭიმის მოწყობისა და მისი მოპირკეთების, კარ-ფანჯრების მოწყობის, კედლების მოპირკეთების, კედლებისა და რკინის კონსტრუქციების სამღებრო, ელექტრო სამონტაჟო, წყალსადენისა და კანალიზაციის, სავენტილაციო და გათბობის სისტემების მოწყობის, ბსუ-ს სასერვერო ოთახის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები; შეძენილი იქნა და დამონტაჟდა ავტომატური შლაგბაუმი;
- განხორციელდა ბსუ-ს სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 48529,29 ლარი. პროექტის ფარგლებში, ბსუ-ს მე-3 კორპუსში არსებულ ცენტრს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, სადაც შესრულდა სადემონტაჟო, კარ-ფანჯრების, იატაკის, ტიხრების, ჭერისა და წინაფრის მოწყობის, ელექტროსამონტაჟო, შენობის გათბობის, წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები;
- NAT240006457 ელექტრონული ტენდერით შესყიდულია ბსუ-ს კორპუსების მცირე, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 200297,50 ლარი. პროექტის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდა ბსუ-ს მე-2, მე-3 კორპუსებში, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, სასწავლო და საერთო საცხოვრებლის შენობებში. შესრულდა სადემონტაჟო, იატაკის მჭიმის მოწყობისა და მისი მოპირკეთების, კარ-ფანჯრების მოწყობის, კედლების მოპირკეთების, მწვანე საფარის, ღიობის, გენერატორის ასამაღლებელი კონსტრუქციის, ბორდიურებისა და დეკორატიული ფილების მოწყობის, კედლებისა და რკინის კონსტრუქციების სამღებრო, ელექტრო სამონტაჟო, წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები;
- აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით, NAT240015023 ელექტრონული ტენდერით შესყიდულია ბსუ-ს მე-2 კორპუსის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 180892,92 ლარი, რომლის ფარგლებში შესრულდა

იატაკების დემონტაჟისა და ახალი საფარის მოწყობის, კედლებიდან ნალესების ნაწილობრივი დემონტაჟის, შენობის შიდა კედლების მაღალხარისხოვანი შეფითხვა, შეღებვა წყალემულსიური საღებავით კარ-ფანჯრების ფერდობების ჩათვლითა და სამღებრო ბადის გათვალისწინებით. კიბის უჯრედში კედელზე მოეწყო მდგ-ს პანელი, დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის ფანჯრები ევრო გადმოღების მექანიზმითა და აქსესუარების გათვალისწინებით, ჭერებში მოეწყო ამსტრონგის ფილები, ასევე ჩატარდა ელექტრო სამონტაჟო, წყალსადენისა და კანალიზაციის, სავენტილაციო სისტემების მოწყობის სამუშაოები. ასევე, ამავე დაფინანსებით, განხორციელდა ბსუ-ს მე-2 კორპუსის შენობის ფასადის რეაბილიტაციის და სხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 165519,49 ლარი, რომლის ფარგლებში შესრულდა შენობის ფასადის, ფერდობის, საჩეხების, შუბლებისა და ჭერის გასუფთავება - გარეცხვა არსებული საღებავისაგან, საჩეხების სახურავების ბურულის მოწყობა წყალშემკრები ღარებითა და მილებით, სულ დამუშავდა და გაიღება 3615,00 მ² ფასადი. მოეწყო ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დავით ხახუტაიშვილის ძეგლის პედესტალი მარმარილოს ფილებით.

- №NAT240016093 ელექტრონული ტენდერით შესყიდულია ბსუ-ს შენობებისა და ტერიტორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 65714,34 ლარი. პროექტის ფარგლებში ბსუ-ს პირველ და მე-2 კორპუსებში შესრულდა მცირე სარემონტო სამუშაოები, მოეწყო ფარდა-ჟალუზი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში განხორციელდა ჩაძირული ტიპის საკანალიზაციო ტუმბოს შეძენა-მონტაჟი შესაბამისი საკანალიზაციო მილების მოწყობით.

მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სახის ღონისძიებები:

- მნიშვნელოვანია ბსუ-ს ბიუჯეტში გათვალისწინებული ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. **საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისთვის**, კერძოდ: წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და საბიბლიოთეკო პროგრამების (საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა) შესყიდვის მიმართულებით 2024 წელს დაიხარჯა 188351 ლარი, მათ შორის წიგნადი ფონდის სრულყოფის მიზნით გაწეული ხარჯი შეადგენს 166215 ლარს.
- **სასწავლო-ლაბორატორიული მეცადინეობების** საჭიროებებისათვის შესყიდულია 580145 ლარის ღირებულების ლაბორატორიული აღჭურვილობა და მოწყობილობები; სამედიცინო მოწყობილობები, სამედიცინო სახარჯი მასალები და პროდუქტები, სამედიცინო მულაჟები და მანეკენები, სტომატოლოგიური მასალები, ქიმიური და ლაბორატორიული რეაქტივები.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, შეძენილია 540588 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, ქსელური მოწყობილობები, აუდიო, ვიდეო სისტემები და აქსესუარები, მათ შორის: მაგიდის კომპიუტერები (დესკტოპები), ე.წ. „All-in-one“ ტიპის კომპიუტერები, ლეპტოპები, მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერები და ინტერაქტიური ეკრანები;
- ავეჯის განახლებისათვის დახარჯულია 128582 ლარი;
- წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა, ინსტიტუციური ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული, **ბიზნეს უწყვეტობის განხორციელების ტექნიკური საშუალებების**, კერძოდ, ბსუ-ს სასერვერო ოთახის საინჟინრო ინფრასტრუქტურის განახლებისა და ავტონომიური უწყვეტი ელექტრო კვების სისტემის დანერგვის საკითხი. 2024 წელს ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდულია ბსუ-ს კრიტიკული სისტემების საინჟინრო ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები თანამდევი მომსახურებით, ჯამური ღირებულება - 520000,00 ლარი. იგი მოიცავს კრიტიკული ინფრასტრუქტურისათვის უწყვეტი კვების წყაროების, საწარმოო კლასის ინვერტორული კონდიციონერების, გარემოსა და ინფრასტრუქტურის მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის, გარემოს პარამეტრების მონიტორინგის სისტემის, სასერვერო კარადების, სასერვერო კარადის კვების გამანაწილებლის, ელექტრო-გამანაწილებელი სისტემის, დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების, კორპუსებში ოპტიკური კაბელების გაყვანის შესყიდვის, მონტაჟის, ინსტალაციისა და ექსპლოატაციაში გაშვების სამუშაოებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე, შესყიდულია 330 kva/264kw სიმძლავრის დიზელ-გენერატორი (თანამდევი მონტაჟის მომსახურებით), ჯამური ღირებულებით 64000,00 ლარი. სულ, ბიზნეს უწყვეტობის პროექტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 584000,00 ლარი.

აღნიშნული პროექტით უკვე უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგება და ინტერნეტ კავშირი, შედეგად მინიმუმამდე შემცირდა ტექნიკური მოწყობილობების, ლაბორატორიული აღჭურვილობებისა და სხვა ინვენტარის ხელმისაწვდომობასა, აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებთან შეუფერხებელ წვდომასთან დაკავშირებული რისკები, რომელიც ელექტროენერგიისა და ინტერნეტ კავშირის მოულოდნელი წყვეტის დროს იქმნებოდა.

კრიზისების მართვის ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბება, ე.წ. ბიზნეს უწყვეტობის მიღწევა ბსუ-ს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ის უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მზადყოფნას შეასრულოს თავისი ვალდებულება, გაუწიოს მომსახურება სტუდენტებსა და პერსონალს, მათ შორის იმ გარემოებებში, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის ფუნქციონირებას. ბიზნეს პროცესების რისკის შეფასება და უწყვეტობის პოლიტიკა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნების, მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შეუფერხებლად განხორციელებას, უნივერსიტეტის რესურსების რაციონალურ განაწილებას,

სწავლისა და მუშაობისთვის უსაფრთხო საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას, ამცირებს ნეგატიურ ფაქტორებს, რამაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას, ხელს უწყობს უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობას და უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას.

- სამეცნიერო კვლევების განხორციელებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტით ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური რესურსი. ამ მხრივ აღსანიშნავია **შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების** დაფინანსება, რომლისთვისაც საანგარიშო წელს გათვალისწინებული იქნა 300 000 ლარი.

პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა ასევე, შემდეგი პროექტები:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი კომპიუტერული კლასის მოწყობის მიზნით დაუფინანსდა კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი, შეძენილია ინტერაქციული ეკრანი. თანადაფინანსების ფარგლებში მოეწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება 2024“, განახლდა ფაკულტეტის სასწავლო ლიტერატურა.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ლაბორატორიებისათვის სხვადასხვა ხელსაწყო, დანადგარების, რეაქტივების, სასწავლო მასალების და სამედიცინო მულაჟების შეძენა, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საველე და საწარმოო პრაქტიკის დაფინანსება, საგამომცემლო მომსახურების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსებას;
- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, სასწავლო ლიტერატურის განახლება, ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვა მრავალფუნქციური ლაბორატორიული სტენდებით.
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი სასწავლო სახელმძღვანელოს საგამომცემლო მომსახურების მხარდაჭერა, ამავე ფაკულტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტის ინიცირებით ელექტრონული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახვის დაფინანსება, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საველე და საწარმოო პრაქტიკის დაფინანსება;
- ტექნოლოგიური ფაკულტეტის საცდელი ნაკვეთისათვის სასუქების და შხამქიმიკატების, ასევე, სპეციალური დანიშნულების მოწყობილობების შეძენა, სასწავლო ლიტერატურის განახლება, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის დაფინანსება უცხოეთში.
- ორგანიზებულად წარიმართა ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთაშორისო სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება. ფაკულტეტისთვის შეძენილია ინტერაქტიული ეკრანები, აუდიტორიები განახლდა თანამედროვე სასწავლო ავეჯით.

- ბსუ-ს ბიუჯეტით უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება, კერძოდ 2024 წელს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტი დაფინანსდა 750320 ლარით; ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტი - 765768 ლარით, ხოლო ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტი - 734893 ლარით.
- პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისთვის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, აღიჭურვა ფარმაციის ლაბორატორია.
- ბსუ-ს სტუდენტთა სპორტული და შემოქმედებითი ჯგუფების ღონისძიებების, ასევე, საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების დაფინანსება. ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების ფარგლებში დაფინანსდა 11 სტუდენტური პროექტი, რომლისთვისაც ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 140 000 ლარი. განხორციელდა კურსდამთავრებულთა გაცილების და პირველკურსელთა მიღების (დახვედრის) ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა საჭიროებით უზრუნველყოფა;
- პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობის, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდისა და მათი პროფესიული სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა პერსონალის მონაწილეობის დაფინანსება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- დაფინანსდა პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ყველა მოთხოვნა კვალიფიკაციის ამაღლების/ტრენინგების გავლის/კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ) როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში;
- მაღალკვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებისა და მოტივაციის გაზრდის უზრუნველსაყოფად, „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიების გამოქვეყნების წახალისების წესის" საფუძველზე უზრუნველყოფილია თანამშრომლების ფინანსური წახალისება.
- ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროცესში გამოსაყენებლად მომზადებული და სახელმძღვანელოდ აღიარებული ნაშრომის გამოცემის მიზნით.

აღსანიშნავია 2024 წელს განხორციელებული სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის/სოციალური პროგრამების მრავალფეროვნება:

- 2024 წელს საქართველოსა და აჭარის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით სწავლის საფასური დაუფინანსდა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის 991 სტუდენტს;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 03 ოქტომბრის N378 დადგენილების საფუძველზე, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 მარტის N07-


01/25 და N07-01/26 (ცვლილება - 2024 წლის 03 აპრილის N07-01/33 გადაწყვეტილება) გადაწყვეტილებების შესაბამისად, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული და სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ბსუ-ს 928 სტუდენტი განთავისუფლდა სწავლის საფასურის დავალიანების გადახდისაგან.

- ბსუ-ს სხვა პროგრამის/პროექტის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლა ბსუ-ს 116 სტუდენტმა.


2024 წელს განხორციელებული სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის შედეგები						
პროგრამის/პროექტის/აქტივობის დასახელება	2023-24 სასწ.წ გაზაფხულის სემესტრი		2024-25 სასწ.წლ შემოდგომის სემესტრი		სულ 2024 წელს	
	სტუდენტთა რაოდენობა	დაფინანსების თანხა	სტუდენტთა რაოდენობა	დაფინანსების თანხა	სტუდენტთა რაოდენობა	დაფინანსების თანხა
ბსუ-ს სოც. პროგრამა „შეღვათები სწავლის საფასურში“	38	20 000	26	14 732	64	34 732
სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრი - ბსუ-ს მიერ სწავლის საფასურში შეღავათის მინიჭების შესახებ (30/50 %)	14	4 320	7	3 262,5	21	7 582,5
ბსუ-ს მიერ შშმ/სსმ პირების სწავლის საფასურისგან გათავისუფლება	2	1 875	2	2 250	4	4 125
დედ-მამით ობლები	6	5 325	3	3 808	9	9 133
აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სოც. პროგრამა (დაფინანსება)	291	315 630.5	230	246 825	521	562 455.5
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სოციალური პროგრამა (გრანტი)	230	236 137.5	240	237 487.5	470	473 625
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით განთავისუფლდა სწავლის საფასურის გადასახადისაგან	4	5 889,07	14	8 062,5	18	13 951,57
პრემიერის ინიციატივა/მთავრობის 2023 წლის 03 ოქტომბრ. N378 დადგ-ით	928	930 874.28	0	0	928	930 874.28
სულ	1513	1520051.35	522	516 427,5	2035	2 036 478.85

2024 წელს ბსუ-ს მიერ რეაბილიტირებული სივრცეები


















2024 წლის 20 აგვისტოს ბსუ-მ წარმატებით გაიარა ინსტიტუციური ავტორიზაცია. ავტორიზაციის შვიდი სტანდარტიდან სამი შეფასდა, როგორც შესაბამისი, ხოლო ოთხი - მეტწილად. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ათასი ადგილით გაიზარდა ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტი (სულ 9 000 ადგილი). 950-მდე გაიზარდა მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტი. ექსპერტთა მიერ ბსუ-ს საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეული იქნა:

1. რთული სოციალური ფონის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და ჩვენი მოსამზადებელი ცენტრების მუშაობა აჭარის მაღალმთიან რაიონებში.
2. ბსუ-ს საუნივერსიტეტო პორტალი- რომელიც დღეს იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ ტექნოლოგიური გადაწყვეტა. ეს არის კომუნიკაციის ახალი ხარისხი, საქმისწარმოების პროცესების გამარტივება და სრულიად ახალი სამუშაო კულტურა.
3. პერსონალის პროფესიული განვითარების წახალისების წესი- შექმნილია კვლევის სტიმულირების ისეთი სქემა, რომელიც წახალისებს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს იყოს შემოქმედებითი, ინოვაციური და მოტივირებული.

ავტორიზაციის პროცესში ექსპერტების მიერ შეფასდა ფინანსური რესურსების მართვის პრაქტიკა ბსუ-ში. გამოვყოფ ექსპერტთა დასკვნიდან რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს:

1. უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი ბიუჯეტი (38,392,313.00 ლარი) და გარდამავალი ნაშთი (10,500,000.00 ლარი) მიუთითებს ინსტიტუციის ფინანსურ სტაბილურობაზე;
2. ბიუჯეტის მაღალი შესრულების მაჩვენებელი, ბოლო სამი წლის განმავლობაში ადასტურებს ეფექტიან ფინანსურ მართვას;
3. უნივერსიტეტი ახდენს ფულადი რესურსების ეფექტიან მართვას და კაპიტალიზაციის საპროცენტო განაკვეთის რეგულირებით მნიშვნელოვანი შემოსავლის გენერირებას;
4. დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ მართვას;
5. არსებული ფულადი ფონდები საკმარისია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად;
6. უნივერსიტეტს აქვს საკმარისი ფულადი რესურსები სწავლების, კვლევის და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარებისთვის;
7. არსებობს მკაფიო ბიზნესის უწყვეტობის სქემა.

ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების როლი ინსტიტუციურ განვითარებაში

იურიდიული დეპარტამენტი

ბსუ-ში შემოსული კორესპონდენციის და უშუალოდ იურიდიულ დეპარტამენტში მომზადებული ან/და სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი პროექტების და-მუშავების/ რედაქტირების საფუძველზე მომზადებულია /რედაქტირებულია/ შეთანხმებულია ან/და ვიზირებულია:

2024 წელს გამოცემული ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სულ 3578 ბრძანება; აკადემიური საბჭოს 131 დადგენილება და წარმომადგენლობითი საბჭოს 31 გადაწყვეტილება.

2024 წლის ავტორიზაციისათვის მომზადდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები (რეგულაციები);

მოქმედი კანონმდებლობისა და უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადდა/შეიცვალა და განახლდა არაერთი რეგულაცია კერძოდ: პერსონალის მართვის პოლიტიკა; შინაგანაწესი; მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესი; საარჩევნო დებულება; სტრუქტურული ერთეულების დებულებები და მათი ფუნქციათა აღწერილობები; პერსონალის სამსახურში მიღების და აფილირების წესი და სხვა რეგულაციები/ საავტორიზაციო დოკუმენტაცია.

იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის უშუალო ჩართულობით მომზადდა:

- უნივერსიტეტის წერილები /გასული კორესპონდენცია- 472 წერილი;
- სამსახურებრივი ბარათები - 372 ბარათი;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები - 148;
- განახლდა ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი 2024-2025 სასწავლო წლისათვის (სულ 18 თავარი);
- ბსუ-ს სამართლებრივი აქტების სისტემატიური კოდიფიცირება და ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება/ჩანაცვლება;
- საკონსულტაციო საქმიანობა;
- 2024 წელს საქმისწარმოება გაგრძელდება (წინასასამართლო/შეთანხმების /სასამართლო/საადსრულებო წარმოების ეტაპებზე) სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სულ 1574 პირზე (აქტიური სტუდენტი, კურსდამთავრებული, სტატუსშეწყვეტილი და სტატუსშეჩერებული სტუდენტები).

2024 წელს ბსუ-ს მიერ მოგებული იქნა არაერთი სასამართლო დავა:

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ბსუ-ს სარჩელი მოპასუხე კომპანიის შპს „ინთერნეიშენალ სთუდენტ სელ ბიესიუ“ მიმართ ინდოელი სტუდენტების სწავლის საფასურის დავალიანების - 1 210 386 52 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაკისრების თაობაზე და კომპანიის სარჩელის ბსუ-ს მიმართ ბსუ-სათვის 8 412 500 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით ბსუ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, (კომპანიას ბსუ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 1 210 386, 52 აშშ დოლარი), ხოლო კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის ივლისის განჩინებით შპს „ინთერნეიშენალ სთუდენტ სელ ბიესიუს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და შესაბამისად, სასამართლოს მე-2 ინსტანციაშიც საქმის განხილვა დასრულდა უნივერსიტეტის სასარგებლოდ. 2024 წლის ივნისში გაიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარი სხდომები, მოპასუხე და ამავდროულად მოსარჩელე კომპანიამ საკასაციო საჩივარი წარადგინა უზენაეს სასამართლოში, თუმცა წარმოებაში არ იქნა მიღებული (კასატორმა სახ. ბაჟი არ გადაიხადა) და შესაბამისად, უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამოტანილი ბათუმის საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილება (27.12.2023წ.) შევიდა კანონიერ ძალაში.

სასწავლო პროცესის დეპარტამენტი

საათობრივი ანაზღაურების ელექტრონული მოდული

ახალი მოდულის საშუალებით, შესაძლებელი გახდა საათობრივი ანაზღაურების სისტემის მონიტორინგი, ამასთანავე მნიშვნელოვნად გამარტივდა საათობრივი ანაზღაურების პროცედურა.

საგანმანათლებლო პროგრამების გადინების / დასრულების სტატისტიკა

საგანმანათლებლო პროგრამებს მოდულს დაემატა გადინების/დასრულების სტატისტიკური მონაცემები უცხოენოვანი სტუდენტებისთვის.

სამეცნიერო საქმიანობის შეფასება:

- აკადემიური და მოწვეული პროფესორ/მასწავლებლის სამეცნიერო აქტივობების ასახვა;
- ნაშრომების დადასტურება შესაბამისი სამსახურების მიერ;
- შედეგების ავტომატური დათვლა საანგარიშო წლების მიხედვით;
- კონკურსისთვის ასახული ინფორმაციის დადასტურების სქემის შექმნა.

სტუდენტთა შიდა მობილობის მოდული:

- ელექტრონული რეგისტრაცია (მაქსიმუმ 3 პროგრამის მითითებით);
- მონაცემთა დადასტურება/თავსებადობი შემოწმება;
- შედეგების (გამარჯვებულთა) ავტომატური გამოვლენა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგებისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით;
- შიდა, გარე მობილობა და აღდგენების ორგანიზება - 600 აპლიკაცია;
- პირველკურსელთა რეგისტრაცია;
- საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების აკადემიური რეგისტრაცია.

სტუდენტთა გარე მობილობის მოდული:

- ელექტრონული რეგისტრაცია;
- მონაცემთა დადასტურება/თავსებადობის შემოწმება.

აკადემიური პერსონალის არჩევნებში მონაწილეობის მოდული:

- განაცხადის შევსება;
- შევსებული ინფორმაციის დადასტურება;
- აკადემიურ კონკურსთან დაკავშირებული ყველა პროცედურის ავტომატიზირება.

აკადემიური პერსონალის CV-ს მოდული:

- ავტომატური ინტეგრირება ვებგვერდზე;
- მონაცემთა დადასტურება.

არჩეული აკადემიური და ადმინისტრაციული პირებისათვის შეტყობინება:

- ინფორმაცია ავტომატურად მიეწოდება უშუალოდ არჩეულ პირს;
- ინფორმაცია ავტომატურად მიეწოდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

სამეცნიერო კვლევების სამსახური

2024 წელს მომზადდა მეცნიერების მხარდამჭერი 2 მნიშვნელოვანი წესი:

- „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“
- უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება“

2024 წელს მეცნიერების წახალისების ღონისძიების ფარგლებში - 168 აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისთვის 194 373 ლარი გაიცა

ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“- ს მიხედვით შეფასდა:

- 1287 სამეცნიერო ნაშრომი;
- 1036 სამეცნიერო ღონისძიება;
- 109 მონოგრაფია;
- 156 გრანტი (მიმდინარე);
- 65 გრანტი (წარდგენილი);
- 1 გამოგონება;
- 2735 სხვა აქტივობა.

2024 წელს მომზადდა/ცვლილებები შევიდა:

- ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება;
- ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულებები;
- პერსონალის პროფესიული განვითარების წახალისების წესი;
- ბსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტების დებულება;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარსადგენი სამეცნიერო ანგარიში.

მუდმივად ხორციელდება ელექტრონული ბაზების განახლება:

- დოქტორანტთა ბაზა/ ნაშრომების ბაზა;
- პროფესიული და საგრანტო მივლინებების ბაზა;
